

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - ნიკორწმინდა, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩატარებული, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 28 ივნისის №1-1/347 ბრძანებით შექმნილი კონკურსის მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1

ქ.თბილისი

2017 წლის 5 აპრილი

სხდომას

ესწრებოდნენ:	ირმა ქავთარაძე	- მინისტრის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
	ნინო გვენცაძე	- სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
	ნინო მურჯიკნელი	- ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, კომისიის წევრი;
	სოფიკო მაისურაძე	- სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის, ურბანული განვითარების სამმართველოს უფროსი, კომისიის წევრი;
სხდომას არ ესწრებოდა:	კახა ფოცხიშვილი	- სივრცითი დაგეგმარებისა და სამშენებლო პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი.

დღის წესრიგი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - ნიკორწმინდა, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დამტკიცება:

საკონკურსო კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ადმინისტრაციულ დეპარტამენტში შემოსული 2017 წლის 29 მარტის №994 მოხსენებით ბარათის გათვალისწინებით საჭიროა ამბროლაურის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - ნიკორწმინდა, ჭრებალოს, წესისა და შაორის ტურისტულ-სარეკრეაციო კომპლექსის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების საპროექტო მომსახურების შესყიდვა კონკურსის საშუალებით.

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 400 000 (ოთხასი ათასი) ლარი (დღგ-ს გარეშე).

CPV - 71400000, 71410000.

დაფინანსების წყარო: 2017-2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

კომისიამ დაადგინა:

- დამტკიცდეს კონკურსის საშუალებით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ონის მუნიციპალიტეტისა და სოფლების - უწერის, მრავალძაღლისა და კურორტ შოვის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შემუშავების მომსახურების შესყიდვის მიზნით, საკონკურსო დოკუმენტაცია წინამდებარე ოქმზე თანდართული დოკუმენტების შესაბამისად;

- მუდმივმოქმედ საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალოს, უზრუნველყოს საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი №1-ის, საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის განთავსება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სხდომის თავმჯდომარე:

ი. ქავთარაძე



წევრები:

ნ. გვენცაძე



ნ. მურჯიკნელი



ს. მაისურაძე

